2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯი-დი დეველოპმენტი“ (ს/კ 204550333)

შინაარსი :

- **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)**
- **ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალის უწყისი)**
- **საკუთარი კაპიტალი**
- **განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**

- 1. ზოგადი ინფორმაცია
- 2. კომპანიის საქმიანობის საოპერაციო გარემო
- 3. მომზადების საფუძველი
- 4. ფუნქციონალური ვალუტა
- 5. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები
- 6.სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა
- 7. ხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები
- 8. სავაჭრო მოთხოვნები
- 9. სავაჭრო ვალდებულებები
- 10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
- 11. არამატერიალური აქტივები
- 12. ძირითადი საშუალებები
- 13. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
- 14. გადასახადები
- 15. გამოუმუშავებელი შემოსავალი
- 16. ფინანსური ვალდებულებები
- 17. ამონაგების აღიარება
- 18. საოპერაციო იჯარა

- 19. საოპერაციო ხარჯები
- 20. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან და არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი
- 21. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
- 22. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

➢ **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)**

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში, დამრგვალებულია ათას ლარამდე)

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები	**N**		
ფული და ფულის ეკვივალენტები	397075	717307	267524
სავაჭრო მოთხოვნები	221781	235487	235330
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	122787	123274	120205
მარაგები			
- მზა პროდუქცია			
- სხვა	269186	292630	308867
საინვესტიციო ქონება		-	
სხვა მოკლევადიანი აქტივი			
ბიოლოგიური აქტივები		-	
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი		-	
სხვა არამატერიალური აქტივები	40784	45952	53222
ძირითადი საშუალებები	5 751 271	5 864 080	6 042 118
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	
სულ აქტივები	**6 802 884**	**7 278 730**	**7 027 266**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	3503	2376
სავაჭრო ვალდებულებები	9864	46390	52270
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები		9594	59327
გამოუმუშავებელი შემოსავალი		1425	2230
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები		-	
სხვა ვალდებულებები	5	432	5

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სულ ვალდებულებები	**9869**	**61344**	**116208**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9650000	9650000	9650000
საემისიო შემოსავალი			-
გამოსყიდული საკუთარი აქციები			-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(2 856 985)	(2 432 614)	(2 738 942)
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	**6 793 015**	**7 217 386**	**6 911 058**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**6 802 884**	**7 278 730**	**7 027 266**

- **ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება(მოგება/ზარალი)**

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში, დამრგვალებულია ათას ლარამდე)

	2023წ	2022წ
ნეტო ამონაგები	486698	**1 855 966**
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან		
სხვა შემოსავალი	5877	
საერთო მოგება	**492 575**	**1 855 966**
დასაქმებულთა ანაზღაურება	(332752)	(572616)
ცვეთა და ამორტიზაცია	(118580)	(204144)
იჯარის ხარჯი	(1246)	(2175)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(383 007)	(712630)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(835 585)**	(1491 565)
საოპერაციო მოგება	**(343 010)**	364401
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		-
მარაგები		-
სხვა არაფინანსური აქტივები		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(18028)	(90650)
მიღებული დივიდენდი		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(63333)	32577
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**(424 371)**	**306328**
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	**(424 371)**	**306328**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-

სხვა		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		**-**
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**(424 371)**	**306328**

- **საკუთარი კაპიტალი**

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, (რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი) და სხვა ცვლილებებისგან.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული

უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;

მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ის გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ის შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

კომპანიას 2021-2022 -2023 წლებში არ მოუხდენია დივიდენდის გაცემა დამფუძნებლებზე.

	2023 წ	**2022 წ**
	GEL	GEL
საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	**7 217 386**	**6 911 058**
მოგება/ზარალი	(424371)	306328
სხვა ცვლილება კაპიტალში		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	***6 793 015***	***7 217 386***

- **განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**

  წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი-დი დეველოპმენტი" (შემდგომში „კომპანია") დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციაში

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თბილისის რეგისტრაციის ცენტრი, ძველი თბილისის განყოფილება)2008 წლის 10 მარტს. საიდენტიფიკაციო ნომერი 204550333

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10041941 (ამონაწერი 29.03.2010წ)

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გენერალ გიორგი კვინიტაძის N8

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მაღალი კლასის სასტუმროს ოპერირება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავს ორი პარტნიორი 75%-25%-ის მფლობელი:

არევაკო ინვესთმენთ ლიმითედ HE356394 /კვიპროსი/-75%

დავით თუშიშვილი 01101130599 /საქართველო/-25%

2023 წელს კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 29-ს.

კომპანიაში მათი შრომის უსაფრთხოების პირობები დაცულია სრულად და ეფექტურად.

კომპანიის ფინანსური აღრიცხვა წარმოებს საბუღალტრო პროგრამაში „ბალანსი"

გამოყენებულია დამხმარე პროგრამები :

სარესტორნე აღრიცხვის პროგრამა IIKo

სასტუმრო აღრიცხვის პროგრამა FIDELIO

დამხმარე პროგრამებიდან ძირითად საბუღალტრო პროგრამაში ხდება მონაცემების გაცვლა(ინტეგრაცია) და საბოლოოდ ყველა მონაცემი თავს იყრის ერთიან საბუღალტრო ბაზაში.

2. კომპანიის საქმიანობის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა(სასტუმროს ოპერირება) ხორციელდება საქართველოში. განვითარებადი ეკონომიკები, როგორიცაა საქართველო, სწრაფი ცვალებადობით ხასიათდება და მოწყვლადია გლობალური ბაზრის მდგომარეობის და ეკონომიკური ვარდნების მიმართ. შედეგად, საქართველოში ბიზნეს- საქმიანობა უკავშირდება გარკვეულ რისკებს, რომლებიც როგორც წესი, არ ასოცირდება განვითარებულ ბაზრებთან. პირიქით, არის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ბიზნესის წინსვლისა და განვითარების გზაზე.

მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი სამოქალაქო, კრიმინალური, საგადასახადო, ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმა , რომელმაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმების შედეგია ის, რომ საქართველოში არის კორუფციის დაბალი დონე. ასევე, აღსანიშნავია ქვეყანაში არსებული დაბალი გადასახადები და სრული გამჭვირვალობა მათი აღრიცხვის და ადმინისტრირების კუთხით.

აღნიშვნის საგანია ის ფაქტი, რომ საქართველო მსოფლიო ბანკის (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ანგარიშების მიხედვით, კვლავაც გამოირჩევა ბიზნესის კეთების სიმარტივით.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური

პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების

ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა აღიარებს დემოკრატიული განვითარების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის, კანონის უზენაესობისა და ეფექტიანი მმართველობის პრინციპებს, რომელთაც ეფუძნება მისი პოლიტიკა. ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედია. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია განუხრელად დაიცვას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსი და უზრუნველყოს საერთო ევროპული ფასეულობების მტკიცე მხარდაჭერა, რაც ევროკავშირთან დაახლოების საფუძველი გახდება. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" ეფექტიან განხორციელებას (რომლის განუყოფელ ნაწილს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს), რაც ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის საწინდარია. განვითარების ამ ეტაპზე და არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს საქართველოს მთავრობის მიზანი იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაა, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ეკონომიკური თავისუფლებისა და საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას. ამავდროულად, სახელმწიფო იქნება ეკონომიკურ პროცესებში სამართლიანობის დაცვის გარანტი. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა აამოქმედებს ეკონომიკის მარეგულირებელ მექანიზმებს, კრიზისულ შემთხვევაში კი ხელს შეუწყობს ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირრებას.

3. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (*შემდგომში "მსს ფასს"*), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში წარდგენილი აქვს ფინანსური ანგარიშგება მესამე კატეგორიის საწარმოსთვის.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის

  შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

<u>ფუნქციონირებადი საწარმო</u>

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

<u>4. ფუნქციონალური ვალუტა</u>

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (***"GEL"***).

<u>წარდგენის ვალუტა</u>

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

5. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას რეზიდენტ ბანკებში,ასევე კომპანიის სალაროში არსებულ ფულად სახსრებს

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

	2023	**2022**
	GEL	**GEL**
ფულადი სახსრები ბანკებში და სალაროში	***<u>397075</u>***	***<u>717307</u>***
		-
სულ	***<u>397075</u>***	***<u>717307</u>***

6. სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა:

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, როდესაც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით;

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;

7. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

გადახდილი ავანსები და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები მოიცავს, ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს,ასევე, იუდიდიულ ან ფიზიკურ პირებზე სესხის სახით გაცემულ თანხებს.ასევე,აღნიშნული მუხლი შეიცავს ზედმეტად გადახდილ გადასახადებს.

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

	2023	**2022**
გადახდილი ავანსები	***<u>122787</u>***	***<u>123274</u>***
სულ	***<u>122787</u>***	***<u>123274</u>***

8. სავაჭრო მოთხოვნები:ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს

რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ობიექტური განსჯის საფუძველზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.ასევე, განსჯის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მიიღება გადაწყვეტილება დებიტორული დავალიანების/მოთხოვნის საეჭვო ან უიმედო დავალიანებად ცნობის და აღიარების შესახებ.

მოთხოვნები მიწოდებიდან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით(სალდირებულად), საეჭვო მოთხოვნების თანხის გამოკლებით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში	*GEL*	*GEL*
	2023	**2022**
სავაჭრო მოთხოვნები	*221781*	*235487*
სულ	***221781***	***235487***

9. სავაჭრო ვალდებულებები აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებების ფარგლებში ასევე მოიაზრება, ფიზიკური პირების მიერ კომპანიისთვის გაწეული მომსახურებაც, რომლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. გადამხდელად არარეგისტრირებული პირებისაგან მიღებული მომასხურება, კომპანიის მიერ იბეგრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, გარკვეული სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისგან(მიკრო მეწამე; ფიქს. გადასახ.მქონე ფიზ.პირი..) მიღებული მომსახურებაც (ან, მოწოდებული საქონელი, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი დოკუმენტაცია) კომპანიის მხრიდან ექვემდებარება არსებული წესის მიხედვით დაბეგვრას.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში	*GEL*	*GEL*
	2023	***2022***
სავაჭრო ვალდებულებები	*9864*	*46390*
სულ	***9864***	***46390***

10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად. მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე და სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, მარაგებად აღიარებას ექვემდებარება სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები, ასევე , ე.წ. დამხმარე მარაგები,რომლებიც მონაწილეობენ კომპანიის საქმიანობის პროცესში მომსახურების გასაწევად. ეს შეიძლება იყოს , როგორც , მაგალითად ოფისის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისთვის განკუთვნილი მასალები (სამეურნეო -საყოფაცხოვრებო ინვენტარის ჩათვლით) ასევე, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები. ასევე, ჭურჭელი ,(ღირებულებით , ძირითადად და უმეტეს შემთხვევაში 1 დან 20 ლარამდე, ზოგ შემთხვევაში 100 -150 ლარამდე) რომელიც არის მექანიკურად ფუჭებადი და დაზიანებადი: თეფშები, ჭიქები, დანა-ჩანგლები, საცხობი ფორმები, კონტეინერები, დაფები და მსგავსი ინვენტარი, რაც ინდივიდუალური დაკვირვების და განსჯის შედეგად აღმოჩნდა , რომ არ აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის კრიტერიუმებს და მათი სასარგებლო გამოყენების გონივრული ვადა ერთ წელზე ნაკლებია , მექანიკურად დაზიანების დიდი ალბათობის გამო და შესაბამისად, არც ამ აქტივების ღირებულების საიმედოდ შეფასებაა შესაძლებელი. ამიტომ, აღნიშნული ინვენტარის აღრიცხვა მიზანშეწონილია დამხმარე მარაგებად.

საქმიანობისთვის საჭირო დამხმარე მარაგებად აღიარებას ექვემდებარება ასევე: სპეც-ტანსაცმელი მუშებისთვის; სასტუმროსთვის განკუთვნილი ნაჭრის ინვენტარი: ბალიშები, ზეწრები, მსგავსი სხვადასხვა თეთრეული და ნაჭრისგან დამზადებული გარკვეული სახის ინვენტარი.დამხმარე მარაგების ჩამოწერა და ხარჯად აღიარება ხდება ჩატარებული ინვენტარიზაციის საფუძველზე.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

	2023	**2022**
ნედლეული და მასალები	*<u>269186</u>*	*<u>292630</u>*
დაუმთავრებელი წარმოება		
მზა პროდუქცია		
სულ	***<u>269186</u>***	***<u>3292630</u>***

11. არამატერიალური აქტივები

2023 წლის31 დეკემბერის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია **40784** ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი

ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც ანგარიშდება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- ნაგებობები 50 წელი

- დანადგარები 5-10-15 წელი

- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-10 წელი

- სანტრანსპორტო საშუალებები 5 წელი

-სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი (ის აქტივები, რომელთა მომსახურების ვადა ერთ წელზე მეტია და მათი ღირებულების საიმედოდ შეფასებაც არის შესაძლებელი. აქ შეიძლება აღირიცხოს თვისობრივი მახასიათებლის მქონე ისეთი სახის აქტივი (მაგ: მრავალჯერადად გამოსაყენებელი მეტალის არამტვრევადი ინვენტარი, რისგანაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება და სხვ) , რომელიც არ არის მოკლე დროში მექანიკურად დაზიანებადი და სხვა აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითად საშუალებად აღიარების კრიტერიუმებს)

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

თანხები მოცემულია ქართულ ლარში

მიწა-477150 ლარი

შენობა-ნაგებობა და დაუმთვრებელი ობიექტები	4 882 573	ლარი
მანქანა-დანადგარები/ლიფტები/გენერატორები	234833	ლარი
ავეჯი,კომპ და ელექტრო ტექნიკა და სხვა ინვენტარი	156715	ლარი
არამატერიალური აქტივები	40784	ლარი

სულ ჯამში: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე რიცხული ქონების ღირებულება შეადგენს 5 792 055 ლარს

13. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

14. გადასახადები

<u>მოგების გადასახადი</u>

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად: ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, საქონლის/ მომსახურების უსასყიდლო მიწოდების და სხვა ოპერაციები). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში

<u>დღგ</u>

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების (ავანსების) მიხედვით.

15. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელი შემოსავალი მოიცავს კომპანიის ძირითადი კლიენტებისგან წინასწარ მიღებულ თანხებს, რომელთა აღიარებაც დარიცხვის მეთოდის საფუძველზე მოხდა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში (2023წ.)

16. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე

ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

17. ამონაგების აღიარება -ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

18. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „იჯარის ხარჯის" მუხლში. აღნიშნული იჯარის ხარჯი წარმოადგენს ოფისის იჯარას, რომელიც კომპანიას აქვს ნაქირავები.

19 . საოპერაციო ხარჯები

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>

<u>2022 წელი</u>	***<u>ლარი (GEL)</u>***
<u>შრომის ანაზღაურება</u> შრომის ანაზღაურება (მ.შ. ხელფასის სახით გაცემულ სხვა სარგებელთან	
<u>დაკავშირებული ხარჯი)</u>	***<u>(572616) GEL</u>***
<u>საიჯარო მომსახურების ხარჯი</u>	***<u>(2175,25) GEL</u>***
<u>ამორტიზაცია(ცვეთა)</u>	***<u>(204144) (GEL</u>***
<u>ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი</u>	***<u>(712630) (GEL</u>***

<u>მ.შ.</u>

- ***<u>სასტუმრო/სარესტორნე სერვისთან დაკავშირებული ხარჯი (163784)GEL</u>***
- სხვა რეალიზებულ მარაგებთან დაკავშირებული ხარჯი- (0) ***<u>GEL</u>***
- ***<u>საკომისიო (17399) GEL</u>***
- ***<u>სადაზღვევო მომსახურება (8909) GEL</u>***
- ***<u>საექსპლოატაციო ხარჯი (27515) GEL</u>***
- ***<u>პროგრამული მომსახურების ხარჯი (13224) GEL</u>***
- ***<u>ჯავშნის ხარჯი (115676) GEL</u>***
- ***<u>დაცვა/უსაფრთხოების ხარჯი -(დაქირავებული კომპ. მიერ (3051) GEL</u>***

გაწეული მომსახურება

- *სარეკლამო ხარჯი (38949)GEL*
- *კომუნალური ხარჯი (175801)GEL*
- *საგადასახადო ხარჯი(2021წ ქონების გადასახადი) (54945) GEL*
- *საკონსულტაციო და IT ხარჯი (15009) GEL*
- *სხვა საოპერაციო (78368) GEL*
- ***სულ საოპერაციო ხარჯი (1491 565)GEL***

2023 წელი ლარი (GEL)

შრომის ანაზღაურება შრომის ანაზღაურება (მ.შ. ხელფასის სახით გაცემულ სხვა სარგებელთან

დაკავშირებული ხარჯი) (332 752) GEL

საიჯარო მომსახურების ხარჯი (1246) GEL

ამორტიზაცია(ცვეთა) (118580) (GEL

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (383007)(GEL

მ.შ.

- *სასტუმრო/სარესტორნე სერვისთან დაკავშირებული ხარჯი (62641)GEL*
- სხვა რეალიზებულ მარაგებთან დაკავშირებული ხარჯი- (0) *GEL*
- *საკომისიო (9191) GEL*
- *სადაზღვევო მომსახურება (6821) GEL*
- *საექსპლოატაციო ხარჯი (4115) GEL*
- *პროგრამული მომსახურების ხარჯი (11709) GEL*
- *ჯავშნის ხარჯი (54321) GEL*
- *დაცვა/უსაფრთხოების ხარჯი -(დაქირავებული კომპ. მიერ (3390) GEL*

გაწეული მომსახურება

- *სარეკლამო ხარჯი (23865)GEL*
- *კომუნალური ხარჯი (103565)GEL*
- *საკონსულტაციო და IT ხარჯი (31275) GEL*

- *სხვა საოპერაციო (72114) **GEL***
- ***სულ საოპერაციო ხარჯი (835585)GEL***

20. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან და არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში აღირიცხება უსასყიდლო მიწოდების ოპერაციები, ასევე ძირითადი საშუალებების შემოსავლიდან მიღებული ამონაგები . უსასყიდლო მიოწოდებისას, მოთხოვნების ჩამოწერასთან დაკავშირებული ოპერაციები , ასევე ძირითადი საშუალებების რეალიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციები .

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

აღნიშნულ მუხლებში თანხები აღირიცხება სალდირებულად

2022

საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი (90650) ლარი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი- 32577 ლარი

(მ.შ. უსასყიდლო მიწოდებასთან დაკავშირებული შემოსავალი/ხარჯი; ასევე, ძ.საშუალებების რეალიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციები; პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება ბიზნეს სუბიექტებისთვის და სხვა)

აღნიშნულ მუხლებში თანხები აღირიცხება სალდირებულად

2023

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი (18028) ლარი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი- (63333) ლარი

21. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ, არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვანი მოვლენას.

22. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ჰქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს, რომელიც მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შპს““ჯი-დი დეველოპმენტი“

დირექტორი

ეკატერინა თუშიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ქეთევან კვარაცხელია

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით